

# ლიტერატურული განეტი

№18 (298) 1 - 14 ოქტომბერი 2021

გამოცის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

## პრეზენტაცია

აბო იაშალაშვილი

ააულ შემორჩის ციტალი კოზი

II-III

ოთარ გოგალაძე

ულისეს სარდაფი

VI-VII

ნიკოლას მაჩაბელი

ნიკოლასის ფონი

XI



მარი სადლობელაშვილი

აპსურდული აქსიოდი

მე არ შემიძლია  
ღამეს გათენება მოვთხოვო,  
თუმცა შემიძლია, ჩამოვჯდე აივანზე,  
თვალგახელილმა ვუცქირო ცას მანამ,  
სანამ არ გათენდება  
და თუ მაინცდამაინც  
საკუთარი თავის პატივისცემას დავკარგავ,  
თავი დავაჯერო,  
მე რომ ვარსკვლავები არ დამეთვალა,  
არც კი გათენდებოდა...  
მე არ შემიძლია  
შენ ერთგულება  
გაიძულო,  
თუმცა შემიძლია, გავირინდო აივანზე,  
თვალდახუჭულმა ვუცქირო გზას მანამ,  
სანამ არ დაბრუნდები  
და თუ მაინცდამაინც  
საკუთარი თავის სიპრალული შემანუხებს,  
თავი დავაჯერო,  
ღალატი რომ გდომოდა,  
არც კი დაბრუნდებოდი...  
მე არ შემიძლია,  
სიცოცხლეს მარადიულობა გამოვთხოვო,  
თუმცა შემიძლია, ბოლთას ვცემდე აივანზე,  
ვუთვალითვალო წლებს მანამ,  
სანამ არ დავნაოჭდები  
და თუ მაინცდამაინც  
საკუთარი თავის უძლურება შემანუხებს,  
თავი დავაჯერო,  
მე რომ არ მდომოდა დაბერება,  
მარადიულად ვიცოცხლებდი..."

IV

## პრეზენტაცია

ანი დიდიშვილი

2010-იანი ცლაბის ახალი  
ხელი ეართულ პროზაში

XII-XIV

## რამდენიმე

ფაროხი სისთანელი

სულთან მაჰმუდ ღაზნელის  
დატირება

XV-XVI



## პრეზენტაცია

ეკა მაჭარაშვილი

ვუსმენი სიჩუმის

V

ნათია გიორგაძე

მოძრაობა

VIII

ია მერაბიშვილი

ROMA AETERNA

IX









## მარი სადლობელაშვილი

### ოდესლაც გაიშა ვიყავი

ოდესლაც ვეიშა ვიყავი,  
იკეანას ვაწყობდი,  
სამსახვანს ვაერთმნიშვნელიანებდი,  
ლეროდ საკუთარ თავს ვაიგივებდი,  
ყვავილის ფურცლებში ზეცის ლანვებს ვხედავდი,  
ფეხებიდან მინის სურნელი თრთოდა,  
ირგვლივ კი სიჩუმე იყო მხოლოდ,  
მოსალოდნები ქაოსის წინ რომ  
ჩამოწება ხოლმე, ისეთი  
და მე, სახეგადათეთრებული მანგა  
განსავლული ქალისა,  
ვხდებოდი მარტივად სუფთა  
და ამებასავით ერთუჯრედიანი,  
რადგან ამ დროს ძნელი იყო რამეზე ფიქრი,  
რადგან ასე უფრო ადვილი იყო,  
სიმარტივეში იდო ყოველთვის ჰარმონია...

### გამოტოვებული გაზაფხული

ბოლოს რომ გნახე,  
თოვლი გადაბელე გულის აივნიდან  
და თვალსიქით რომ დაგიგულე,  
გამოგეპარე,  
კარები გამოგიჯახუნე  
და გავიყოლე გაზაფხულები,  
საგარაუდო — ბევრი.  
ალბათ მალე შემობრუნდი  
მოშლილ ბუდეში,  
სადაც სევდის ჭვარტლიან ჩერებში  
მძინარე დაჭროვე მომაკვდავი გრძნობა  
და ჩვენი არდაბადებული პირმშო.  
ეტყობა, გული სწორედ ისე მეწურება ახლა,  
როგორც შენ მაშინ,  
ზამთრის გასაცილებლად რომ წახედი,  
დაბრუნებული გაზაფხულს ელოდი და  
ჭერგადახდილ, იატაემორყეულ  
ოთხეცელში,  
უფრო ზუსტად — სამკედლნახევარში —  
შემოგეცეთა სიმარტივის სულშემხუთავი ლავა  
და არდაბრუნების გამყინვა სიგრილე,  
შემოდგომისცერი კბით.  
და ზამთრიდან ზამთარში გადაალაჯე  
საფეხულებთან ოდნავშეპარული სითერით,  
ისეთმა, როგორიც დამამახსოვრდი,  
ახალგაზრდა.  
თან წურბელასავით შემოგენება მკერდზე  
ჩვენგან გამოწვილი სისხლი შეთხუპული  
და ჩვენი ვერდათვლილი გაზაფხულებით  
სავარაუდო გამაძლარი  
ერთად ყოვნის ჰიპოთეზა...

### ციკლოვაგი

ჩვენ ისე დავბრმავდით,  
დაბერებაც ვერ მოვასნარით.  
გაზაფხული გამოვტოვეთ და  
ცალვალა ციკლოპებად  
ვაქციეთ ერთმანეთი.

მე შენ ამოგთხარე თვალი,  
შენ კი — მე.  
ჰოდა, აღარ მინდა  
ციკლოპი ვიყო.  
გადაწყვიტე,  
ის ცალი თვალიც  
ამოვითხარო და  
შენ მოგცე...  
დედაბუნებას გაუჭირდება  
ზიდოს ორი  
გაბოროტებული ციკლოპი,  
რომლებიც  
პირველი შესაძლებლობისთანავე  
იმ დარჩენილ ცალ თვალსაც  
დათხრინ ერთმანეთს.  
ეცადე, ორივე თვალიდან  
ხედება ისნავლო,  
თორემ მაინც  
ცალთვალა ციკლოპად  
დარჩები...

### ვვილის ანთილოცვა

დედი, შენში ჩაგესახლე,  
როგორც გასასლელად გამზადებული ნორჩი ყვავილი...  
დედი,  
გახაროდეს,  
გულზე ია დაიბნიე,  
ყყლზე ციცინათლების მძივი აისხი...  
პირზე ცისარტყელას  
შეიდეონ ჩერებში ჩერებით  
დედი, იგოგმანე ჩერებით დამძიმებული სხეულით.  
შენი გულის ფეთქეა ჩემი იავნანა.  
დედი, დედაშვილობას, დამადე ხელი და შემიგრძენი,  
როგორ ცემუკავ შენში,  
სიცოცხლის მოლოდინში,  
განა ეს საკმარისი არაა,  
გულმშვიდად მოვკალათდე შენს წიაღში და  
დელები პანანკონტელა თითებზე ვითვალო...  
მზის სხივები შეისრუტე და  
გამომიგზავნე, გამათბე...  
გამომზარდე შენში და მშობე,  
სამყარო დამანახე,  
ჩემთვის ჯერაც უცხო და საინტერესო  
და იმ გულში ჩამიკარი,  
რომლის ძეგრაც ჩემი იავნანა.  
დედი, მომიყევი ზღაპრები  
კეთილი დასასრულით...  
დედი, ჩემი სიყვარულის  
საპირნოე გრძნობით მიპასუხე  
და შემაყვარე ჯერაც უნახავი სამყარო...  
დედი, მომიყევი ზღაპრები  
ლამაზ და უკვედავ დედაშვილობაზე,  
მის ყოვლიშემძლეობასა და ფერადოვნებზე,  
რომ ვისურვო დაბადება,  
რომ დავეყრდნო იმ ხელებს,  
რომელიც ახლადფეხადგმულს და წაფორთხებულს  
წამომაყენებს,  
სულგადატყაულს მალამოს დამადებს და მისალბუნებს,  
ბალიშს მხოლოდ თავექვეშ ამომიდებს,  
რომ ტკბილად ვიძინო.

და თუ შენი იავნანანამდერი გული  
გაცივდება  
და შენი დედობრივი თითები  
მარწუხებად შემოეხვევა ჩემს პირისახეს და  
გადაწყვეტს,  
ნამართვას ის, რაც თავად მაჩუქა,  
და სანამ ჩემს სიცოცხლემოწურებულ თვალებში  
ბოლოვებრ გაკრთება შენი სახე,  
ჩემთვის ყველაზე ნაცნობი და საყვარელი, —  
დედი,  
ილოცე,  
შენმა იავნანამ წიაღშივე გამანყალოს და  
აგარიდოს ეს განსაცდელი...

### დედის ლოცვა

ღმერთს ყველაზე მეტად მაშინ დავუახლოვდი,  
დედა როცა გავხდი...  
რთული ყოფილ ღმერთობა...  
როცა შვილების თვალებზე  
მარგალიტიტერ კურცხლებს ვხედავ,  
გული სიმინდის ფურჩებით მებურდება  
და ტკივილს კბილებით ვიჭერ,  
ვანამცეცებ,  
ვდეჭავ  
და ვყლაპავ,  
ზედ შვილების დასანახად  
არგადმოგდებულ ცრემლებს ვაყოლებ,  
მწაკეს და უგემურს...  
ამ დროს მებრალება უფალი,  
რამდენი ასეთი ცრემლი უნდა მოინელოს  
მისი შვილების მიერ ტკივილის ლუკმებთან ერთად  
გადაყლაბული...  
რაც დედა გავხდი,  
უფალთან და შვილებთან სიახლოვემ  
უფრო გამაბავვა...  
დავიჯერე, რომ დედის ლოცვას  
მთების გადადგილება შეუძლია.  
ჩიტის ბარტყები იპოვეს ბალახებში  
ჩემმა გამბავშვებლებმა,  
გაქვავებული და უსიცოცხლო.  
გამხმარი ფოთლები გადავაფარე და  
ბავშვები გავარიდე ჩიტსაც და სიკვდილსაც...  
ცნობისნადილს ვერ დავემალე  
და ჩემკენ მოპყრობილ  
მარგალიტის ცრემლებით ავსებულ  
ორ წყვილ თვალს,  
გაკირვებით სავსეს.  
— დედა, ეს ჩიტი აღარ იფრენს?  
— ვეღარ, დედი, ავად გახდა და მოკვდა.  
— რატომ, მას დედა არ უვლიდა?  
— მის დედიობს დავინდა, რომ მასზე ელოცა...  
ბავშვებზე მეტად, მგონა,  
საკუთარი თავი დავაჯერე,  
რომ დედის ლოცვა ყველაზე დიდი სასწაულია,  
რაც უფალს შეუქმნია...

### მე განადი არ ვარ

მე გენადი არ ვარ და მწყინს.  
მე გენადი არ ვარ და მიხარია.  
მას ბოტასები უნდოდა  
ჩემსავით.  
მე ამისრულდა ოცნება, მას კი — ვერ.  
მისა მაბას უკრის საყიდლად წავიდა  
უკანასკენილი თეთრებით  
და ვერ მმასრი ეყიდა ბოტასები,  
ვერ მოუსწრო გენადის...  
მამაჩემიც გადიოდა უკანასკნელი თეთრებით  
პურის საყიდლად,  
ჯართის შესაგროვებლად,  
რომ ჩემთვის ეყიდა საოცნებო ბოტასები,  
მიყიდა კიდეც.  
და რა საოცრად მწყინს და მიხარია,  
რომ გენადი არ ვარ...  
რომ გენადი არ ვარ...  
ერთი ბენო შემთხვევითობის წყალობით არ ამოვიბულ  
სანთლით ან ბუხრიდან გადმოვარდნილ  
ნაპერნების წყალობით...  
რომ არა შემთხვევითობა,  
ვერ ვივლიდი ნანათხოვარი ტუფლებით,  
ძირგამოხული ტუფლებით,  
ნაჩუქარი ტუფლებით,  
ერთი ზომით დიდი ან პატარა ტუფლებით,  
ქუსლომძვრალი ან მორყეული ტუფლებით,  
კანაქერცლილი და ათასჯერ  
შედებალ-შენგებულ-შემოკერილი ტუფლებით,  
საკუთარი ჯიბის ფულით  
იშვიათად ნაყიდი ტუფლებით...  
და მაინც ის ბოტასები  
ყველაზე მეტად მიწვავს ფეხისგულს,  
მე რომ ჩავტკევი და  
გენადიმ ვერ.  
და როგორ მწყინს და მიხარია,  
რომ გენადი არ ვარ,  
რომ გენადი არ ვარ...









## ნათია გიორგაძე

ჯერ არ ვგავარ იქ წამსვლელს,  
მაგრამ მაინც იცოდე,  
მაგრამ მაინც გახსოვდეს,  
„ქრისტული ფხენები!“  
ჩემი ძალა ტოლია,  
შენთან ყოფნის სიდიდე  
გაყოფილი ყოველგვარ  
გარე წინაღობაზე.

\* \* \*

ჩემს შვილს ჩვენი მეგობარი, წესტანი,  
ვეფხისტყაოსნის ჰერინია  
და ისეთი მონინებით ახსენებს,  
თითქოს რუსთაველი აქვე იყოს,  
თითქოს რუსთაველი უსმენდეს  
მარიამს...  
დრო საოცარი რამაა,  
სადაც გინდა, იქ დაიჭერ წამს,  
სადაც გინდა, იქ დაიწყები,  
რასაც გინდა, იმას მოიცევ  
თვალებში...  
კარს არ დატოვებ ღრიფოდ,  
არც ჭიშკარს ლისა, ფანჯრებიდან  
კი იდინოს სათქმელმა,  
ფანჯრები მუდან დაცულია საგულდაგულოდ.  
იქ, ჭანებში რომ სახლებია,  
იმათი ფანჯრებიც ლიაა,  
იმათი სათქმელიც საგულდაგულო,  
ასევე აფხაზთა...  
ბრინჯაოს აბზინდები და ცულები,  
ჯავშანმანქანები სულ ბოლოს,  
ვინმე აღმოაჩენს ამ განძსაც,  
ფანჯრები...  
დახსენით...

\* \* \*

შენთან უნდა მოვიდე,  
„ჰოი ნანა“ ვთქვათ.  
მხოლოდ ერთხელ თუ გინდა...  
„სქანი ჭირიმა“  
ახლა, როცა ჭირია.

\* \* \*

ამ მარმარილოს ქვეშ და  
იმ მარმარილოს მიღმა  
სიკედილ-სიცოცხლის მსგავსი,  
არსებობს პარადიგმა.  
არა წესი და დოგმა,  
სამოთხის მიღლოდინე,  
არამედ შუბლის ძარღვი  
შუბლებაზერეტილის მიმართ.  
როგორც მაღლარში ვაზის  
მცირე ნაყოფი მოღის,  
ისე შენს ფიქრებს ამცრობს  
ცვალებადობა აზრის.  
რით მოხიბლა ასე  
კაცი, ოცნებამცვრიე?  
მე ვერასოდეს შევძლებ,  
პლატონმა აპატიო!  
ვერ გავუსწორდო დროს და  
მუდამ წინ მისწრებს თვალი,  
არაფერია ქვეყნად  
ქვენარმავალზე მზარდი,  
სულაც არ გერჩით ველებს,  
ვისაც ვგულისხმობ, იცის,  
ცაშიც რომ ისრიალოს,  
მაინც დარჩება მიწის.

## მოძრაობა

ჩემი სისხლის სიმკვრივე,  
როგორც დენის სიმკვრივე,  
დამოკიდებულია ხმირად  
ომის კანონზე,  
ჩემი დაძაბულობა  
ელექტრული ველიდან,  
ვენის გამტარებიდან  
ქუსლის დამინებამდე,  
იზომება ამპერით,  
სიცოცხლისთვის საშიში  
რომ არ გაჩნდეს ფრაზები,  
რომ არ გვექცეს სიტყვები  
სამფაზიან ხერელებად,  
ამოცკლოთ, ჩავეცტოთ  
წრედი, სახლი, პოემა.  
თავი როგორ მოვაბათ  
ამქეცებიურ საქმეებს?  
საგიურეთში არ ნავალ,  
რადაც უნდა დამიჯდეს,  
და არც გარეთ გამოვალ,  
რომ არ დამაგვინდეს,  
რომ არ დაგრჩე უსახლოდ,  
უელექტროჩაიდნოდ,  
ვინმებ ჩემი ხელფასი  
ჯიბეში რომ ჩაიდოს,  
ყავა რომ არ მიყიდოს,  
ჩია რომ არ მიყიდოს,  
წიგნი რომ არ მიყიდოს,  
ხომ მოვეკდები იმ წამსვე?  
სხვა სულ არ მედარდება,  
სხვა სულ არ მევალება,  
სხვაგან არ მეჩარება,

\* ვერგილიუსი — „ენეიდა“.

\* \* \*

საკეში ხელებით ვიყურები,  
მე ბრმა ვარ,  
გამექცე ყასნალი.  
რას არღვევ? — მშვიდად მექითხება,  
მეზობლის რძალი და მიღიმის.  
ვესოვ-მეტქი, რომ ვუთხრა,  
ზემდეტი ბარგივით საჭირო გავხდები,  
თუ ვინმეს მდუღარე გადასხმია,  
დამნვართა საშველი — ნაცარი  
მაცვდება კანზე და მიხარია...  
ფანჯრის რაფაზე დედა-შვილ კატას  
აუპრეხიათ კუდები.  
ხმას ისე ვიდაბლებ დევის ხსენებისას,  
თითქოს ამ ზღაპარში ვპულნდებოდე,  
თითქოს ყველა ხიდი მრუდე უნდა იყოს,  
რიონი ადდებეს უარეს ამაზონზე,  
იმ ქალს მე ვიცობდი  
მზეთუნახავივით  
და არ წამიკითხავ არასოდეს  
ხოსე ლესამა ლიმა!

\* \* \*

ძალის ნაკენვით გივიწყებენ,  
არაფერი აღარ სტკივათ შვილებს.  
ას სამოცი წლის გახდი და  
ჯვრიდან ჩამოგხსნეს, ახლა  
ბილორდებზე გაუავენ.  
ათას ექვსასი წლის რომ გახდები,  
ისევ გაგიქებით ეყვარები გოგოებს,  
უამდაშა მოვლენ, ჩაგაბულბულებენ,  
გულზე ხელდადებით გიმღერებენ.

\*\*\*  
როცა კვდებოდა ბაბუაჩემი,  
სიმინდის ყანა შრიალებდა,  
თვალებს მალავდა ბებიაჩემი.

გულში ვამბობდი: რა კარგია,  
მეც მეყოლება ჩემი მკვდარი  
და ვახავ, მევდარს წყალი  
როგორ გამოსდის?!

როცა დაარიგეს წერილები,  
სადაც ეწერა: ცოლი, შვილები,  
შვილმცილები, შვილთაშვილები  
რომ მწუხარებით იუწყებოდნენ,  
მე არაფერს არ ვიუწყებოდი.

გულგახეთქილი კარს მივასკდი,  
ვნახე! ძალიან შემეშნდა!

დილადრიან მოსულა მღვდელი,  
ცეცხლში დაუწვავთ თითქოს  
შენი შეყვრებული  
და ნიავს მოაქვს დამწვრის სუნი,  
მადლია, ესეც მოიხსენე, მამაო,  
წესის აგებისას,  
შენ კა გინდოდა ღმერთთან ლაპარაკი,  
მაგრამ არაფერი გამოვიდა!

ამ სიჩუმეში დედაშენი ტანსაცმელს  
კრაედა, ორმოცხე კრავი უნდა დაიკლას,  
ხოლო მანამდე შესანირი თუ გაიცემა,  
სასურველია...

როგორც მფრინავი მენინგიტის გადადებისას  
არსებობს საფრთხე, მაგრამ ფრთხი რომ  
არ არსებობს, ზუსტად ეგეთი ამბავია  
სახლში მოსვლა და ღამის გათევა.

ხის კედლებიდან შემოდის ქარი  
და შავ-თეთრ სურათს ამოძრავებს  
ლურსმნის გარშემო, მე კი მგონია,  
რომ მას დარჩა, რაღაც სათქმელი  
და ჩემგან ითხოვს ახლა მოსმენას.

გულგახეთქილი კარს მივასკდი,  
ვნახე! ძალიან შემეშნდა!

ისე პატარა ვყოფილვარ მაშინ,  
მიკვირს, ასე დიდს ახლაც რომ მახსოვს,  
გულგახეთქილი კარს მივასკდები,  
როცა ჩემი მკვდრები...  
ბრუნდებიან!

\*\*\*  
ახლა, როცა ჭირია,  
„მა სი მიორქ მა...“  
და არ ვიცა, სადა ხარ,  
იქნებ გარდები?  
ახლა, როცა ჭირია,  
კიდევ უფრო მელავს,  
ის გაჩენის დღე,  
ხელის ვერ ჩაეიდების.  
ახლა, როცა ჭირია  
და არც ლოცვა ჭრის,  
ჩამი-ჩუმად მანიშნე,  
ყურადღებით ვარ!

ნეტავ შენი ცოლიც ია ყოფილიყო,  
ნეტავ ის რომ არ მოგავდომოდა,  
ასე დაწერდი, თუ... ისე დაწერდი თუ...  
ნეტავ შენნაირად სიტყვა თურისა ზედ  
ვინმეს დასჯდომოდეს,  
„თვალებს აელვებსო, როგორც ჯერანი...“  
უნდა დამიჯერო, შენთვის  
სიკვდილზე ნამსვლელთა შორის,  
დღესაც პირველი ვარ,  
არ მინდა ვიყო ლირიკოსი,  
არამედ ცდის გარეშე  
მყოფი ამბისმოქმედი.  
ღმერთ-უდმერთო ვაჟაო,  
გილოცავ...

სულს მოგცემ ამ ლექსში, —  
უთხრა ემმაქს და ნამოილო.  
ლექსი გაგხდიდა ლექსის უნახავს.  
გარეშეამო,  
კლდიაშვილის მამულივით  
(ბაბუაჩემის მიწებს ესაზღვრება),  
თეთრი წვერ-ულვაშით, ჩია აზნაური  
ზღვას მოაბრუნებს, პირს აღმა უზამს,  
რასაც მინდა, იმას ვიტყვი,  
მითვალთვალოს, ვისაც უნდა,  
მისმა ხელმა გამოიხსნა მისაკის  
ხესავით გამხმარი ბებიაჩემი  
ტყვეობიდან,  
მათ შვილებს ომი შემოხვდათ გზაზე  
და ომა ააგო სოფლის გულში  
ყველაზე მაღალი ობელისკა,  
იქ წერია ერთი დის და ხუთი ძმის სახელი,  
ჩემი სახელი იქ არ ეწერება.  
რადგან იტ ჯერ არ მიომია.  
რასაც მინდა, იმას ვიტყვი,  
მითვალთვალოს, ვისაც უნდა.  
დაკარგული სიზმარივით  
ცხენისწყალზე ფეხი მრჩება,  
მეორე ბაბუაჩემს,  
კვირისტავი რომ ამოუღეს,  
სამუდამოდ დაკოჭლებულ,  
ცხენებზე გაგიჟებულ  
მეორე ბაბუაჩემს,  
ტოლი არ ყავდა ჯირითში  
და დედა მას ჰეგვდა,  
მე კი დედას არ დავემგვანე  
და არც ჩემი შვილი დაემგვანა,  
რად მიყვარს თავზე ხელის აღება  
და თავსხმა, როგორც აღება დამე?  
გვალვის წინ, ყველას წაგვრეკავენ!  
გველის სისინის მეტინა...


\* \* \*

ეს ფოტო, თითქოს ცხელ გაზტურას  
დაადგე ხელისგული და ყველა ხაზი წაიშალა  
ხელისგულიდან.  
ეს თარო, თითქოს ფრონტის წინა ხაზზე  
სარ და გიმიზზებენ და უმიზზებენ და გიმეტებენ  
და იმეტებ მტვრის ნაწილაკებს.  
ეს კიდე კედლის, სადაც თავს ვერ ჩამოიკიდებ,  
რადგან არ არსებობს ტყვედ ჩავარდნის საფრთხე,  
და არც თავდამჭერი არსებობს,  
ყველა გიყია, ყველა „ჭედავს“ ცხენს, კუბოს,  
იარაღს და საძეაულს, როგორც სამშვენებელს,  
ურუანტელმა უნდა დაგიაროს თავიდან  
ფეხებამდე მკვდარსაც.  
ეს კითხვა: თუ გინდა, ვიქწები შენი ძუძუმტე?  
და ეს პასუხი: არა! მზექალი იყავიო —  
ლექსის დასაწყისშიც ვიცოდი!

ପ୍ରାଣୀ ପ୍ରକାଶନାଳୀ

ედომფალი ვარ — ვამბობ ამაყად,  
განა დარცხვენით, ძლიერ გასაგონად?  
მოჰკვიტის ლამის, სამტრედის ხიდის ქვეშ,  
ქარი მატარებლების,  
როგორც მდინარე ცნობილ ლექსში,  
რომ გათენდება, ამ ქალაქის  
შუაგაბობილ შუაგულში  
შენს ქეგლს დადგამენ,  
შენ თვალი გენდება მხატვრის და პოეტის  
და არასოდეს მოგინდება  
რელსებს დაენარცხო.  
მაგრამ ვერც მე გნახავ,  
თითქოს ერთმანეთს ავცდით ხიდზე  
და მერე ქუჩებს შევერიეთ  
ან ქვებს, საფლავისას,  
თითქოს ასედაც არ მომხდარა,  
კაცობრიობა მოადგება ხოლმე ჯებირებს  
რომ გზა გამიჯნოს უსაზღვროების  
და მომსვლელთაგან  
ამას მხოლოდ ერთი ახერხებს.  
შენ ხარ ის, ერთი — გეუბნები,  
სხვა არაფერი მე არ მინახავს  
ამ სიზმარყრილში გამოლოიძებულს!

၁၁ မြန်မာပို့ဆောင်ရေး



ROMA AETERNA

კოლიზეუმი, მარადიულ წრეში ჩაბმული,  
იარუსები და სივრცეში ჭრილი სარკმლები,  
ძველ საუკუნეთ შეკრებები თუ ახსენდება,  
რამდენი როკება და ყიფინა უხილავს თვალით,  
არ ავინცდება დაგლეჯილი სხეული მათი,  
პირველებისტებან მონამედ რომ იწოდებიან.  
რომის ფორუმი. ის ლოდსაც კი ინახავს ფრთხილად  
თითქოს შემოქმედს რაც ესურვა, ისე დატოვეს —  
მშვენიერება პირველებინილი და ხელუხლები.  
ტრიუმფალური თაღებია, რომ აღმართულან,  
რომ გადარკალეს ისტორია ბრძოლის სცენებით.  
აქ ერდოვებზე შეფენილან თეთრ ნანგრევებად  
და რომ აქნილან — სვეტებია — გამხდარ ტანივით.  
ტრევის შადრევანს მისვევია ხალხი ხმაურით  
და ცენტებს ყრიან, ოცნებების ყვითელ მონეტებს,  
აქ იციან, რომ იტყუუებწერ თავებს ცრურმშეხით,  
მაგრამ ტრევა, შადრევანთან ასე სჩვევიათ.  
ვაგრძელებთ გზას და ხედვიერში ჩანს მოედანი,  
ეს პეტრესია, პეტრესივე დიდ ბაზილიკით.  
რა დიადია! გადაძლილი ფართოდ აქვს გული  
და უნანილებს საზრდოს ყველას, არახორციელს.  
რიგების წყება, მოედანი მოელის მესას.  
აქ აღარ ელავს ქრისტეს ლანდი, უარი რწმენას!  
საუკუნეთა ისტორიის ხსოვნა აქვს მაინც,  
აქ ასვენია ჩვენი პეტრე, ქვეშ საკურთხევლის  
და არ გახრწნილა მისი უპე, ცრემლით დამწვარი,  
კვლავ ესიზმრება სიყვარული და უარყოფა,  
დღემდე აძრნოლებს ხმობა მამლის და გათენება.  
აქ კათოლიკე გიდი გვიმზერს იჭვინულ თვალით,  
ორთოდოქსები, დაჩოქილნი პეტრეს საფლავთან  
და პირჯვრის წერა, გულმურვალე,

მიქელანჯელო შეგვეგება, რა უკვდავია! სული ჩაუდგა მძიმე ქანდაკს (შემოქმედს ბაძავს), მარადისობის სენით ავნო, ვერ იკურნება. ლოთისმობლის კალთა ჩაწერილი მძინარე ქრისტე... მდუმარე ბაგით დატირება, არ ჰყავედრის არვის. მხოლოდშობილის ახსენდება ბავშვობის დღენი. მიქელანჯელოს ერთ პინაზე პიეტა უდევს, მეორე პინის უამრავ ქვას რომ გადაწონის. სიქსტეს კაპელას მივუყვებით, მის ვრცელ დარბაზებს და უკვდავებამოპოვებულ ხელოვანთ ვუმზირთ. ის „საშინელი სამსჯავრო“ თუ „დღე განკითხვისა“, რა საზარელი სკრინებია, შეგვიჭამს სინდისს.

სუნთქვაშეკრული რომ დატოვებ,  
თუმც წასვლაც გიმძიმს.

სიმართლის ბაგე, პანთეონი და მოედანი  
ესანეთისა, მისი ჭრელი მანდარინებით.  
კატაკომბებში ჩატანილი განძივით რწმენა,  
ნიშანი თევზის, ღუზა — მათი პირველსიმბოლო,  
ამ სიმბოლოში ჩადეგული არსი ქრისტესი,  
აქ დღემდე ისმის ჩუმი სუნთქვა აღმსარებელთა.  
ცანი და ცანი, გადაშლილნი მათს სილურჯეში,  
ვერ გაუსწორებ ამ სილურჯეს თვალებს მზესავით.  
რა ვენა, რომ რომის ვინწრო ქუჩებს ვამსგავსებ ჩვენსას  
და ნარმოვიდგენ, რომ ტრამეა ჩვენთანაც ივლის.  
ქვაფენილები გვაცილებენ ქალაქის სტუმრებს...  
მე მარადიოულ რომის ხსოვნას ჩავტყინ თბილის.

\* \* \*

ნინოს, ჩემს უფროს დას აუტისტური სპექტრით, რომლის სხივებმაც ჩემი გულის პრიზმაში გაიარა.

თმას გვარცხნი, თითქოს ბავშვი იყო,  
თითქოს თორმეტის,

არადა, ორჯერ თორმეტის ხარ და ისევ ბავშვი.  
შენ — და უფროსი, მე — უმცროსი,  
თუმცა გავკვეთ

როლები, ჩარჩი სინმინდეში ღმერთის ამარა. გთხოვ, მაპატიო ყველა მზერა ქუჩის და ხალხის.

ძე ძიებარს ძები სიარული, ჩიტივით ფრთხილი. მომეცი ხელი, ჩემო მტრედო, მომეცი ფრთხები. შენი ლულუნი მირჩევნია საუბარს სხვათა.

რა ტკივილია შენთვის ჩვენთან, რად გინდ  
გენატრებიან მეგობრები — ანგელოზები

მე ვიცი, როცა შინისაკენ მომეჩქარება,  
შენი თვალები მეძახიან: „იაკო, მოდი!“.

შენი ლოცვების სამ სტრიქონში ეტევა ზღვები,  
დაფარავს უწყვეტ, ასმარცვლიან კრიალოსანებს.

მგონია, გიცავ, სინამდვილე სულ სხვა მაინც:  
რომ შენ ხარ ზეცა, მე მარწყულებ, გვალვიან მიწა

ჩვენი კაბები არ გამძრალა, მემორიები თოკტე,  
გადავა წვიმა, ნი, საჩვენოც დადგება დარი.  
პასუხს ამასამოვ თალოვაში მოართოვ შეჩავ

କାଶ୍ଯବ୍ଦ ଗ୍ରାହିତରେ, ଧୀଏଲାନ୍ଧାରୀ ଉପରେ ଥିଲା,  
କୁଣ୍ଡଳ ମହିଳା ଗାନ୍ଧାରୀରେ, ମହିଳାରେ ରାମରେ!  
ଅମାସକାଳୀଣ ଶେଷି ତମରେ — ମହିଳାକାଳୀଣ —



ყვილაზე ძეველი, ბავშვობის დროინდელი შიშები დედასთან ასოცირდება, მოგვიანებითი კი, ანუ თინერივერობის დროინდელი — უკვე მამასთან.

ყბადაღებული 90-იანები უნდა ვახსენო, სხვა გზა არ მაქვს, რადგან ყველაფერი მაშინ დაიწყო. ახლა, როცა უკვე შემიძლია, გავაანალიზო ჩემი მშობლების გასაჭირო იმ წლებში, ყველაფერს კარგად ვხვდები, ყველაფერი კარგად მესმის, მაგრამ მაშინ 3-4 წლის ბავშვს ამდენის გაანალიზება არ შემეძლო, ვერ აღვიტვამდი ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობას, უფლებას, უსახსრობას. ამიტომ ჩემი მშობლების ჩეუბი მიზეზგარეშე, ზეციდან მოვლენილ ღვთიურ რისხვად მეწევნებოდა. ჩემთვის მხოლოდ პირდაპირი ფაქტები ხდებოდა. ამიტომაც მოგონებებში ცალკე აუდიო ჩანაწერის სახით ჩამოატარდა: „მამაჩემის ყვირილი“; „დედაჩემის საყვედურები“; „მამჩემის ღრაიალი“ და ბოლოს — „დედაჩემის პანიკის შეტევა“.

მე და ჩემი პატარა დისტვის „დედაჩევენის პანიკის შეტევა“ ყველაზე ორიგინალური, განსხვავებული და დაძაბულობის დამაგვირგვინებელი სცენა იყო. ამასობაში კი ის ხავის, ბოლო ხმაზე კივის, თავს აქნევს და თმა ეშლება, მაგიდაზე ხელებს ნერვულად ატყაბუნებს. პანიკა ოროთახიანი ბინის კედლებზე ობობის ქსელებივით ეკიდება, ლანდეგი გაირბენენ ჭერზე. მამაჩემი ხვდება, რომ ზღვარს მიაღწია და დედაჩემის დაწყნარებას იწყებს. ამ დროს დედაჩემი ტოვებს ლოჯის, ადგილს, სადაც ისინი ჩხუბობდნენ, გაიღლის შუა ოთახს, სადაც მე და ჩემი და ვთამაშობდით და კარის ჯახუნით გადას სანოლ ოთახში. დამზროთხალი და შემინებული მამაჩემი ცოტა ხანში ჩნდება შუა ოთახში, დარცხვენით გვიყურებს პატარა ბავშვებს, განსხვავებით დედაჩემისგან, რომელმაც თვალი აგვარიდა. მერე კი მამაჩემი ცდილობს, სანოლი ოთახის კარი ფრთხილად შეაღლოს. კარს მიიკეტავს და ახლა გვესმის ჩურჩული, „სიგარეტი მოწიე, კარგი, დამშვიდი...“ მე და ჩემი პატარა და სანოლი ოთახის კარის დამტკრეულ ფანჯარაში პატარა ფარდას გადავწევთ და იქ ვიყურებით — აიღნის კარი ლიაა, დედას ლანდი დგას და ქუჩას გაპყურებს, მამაჩემი სანოლზე ნამოპლაულა და ქალს დარაჯობს. დედაჩემი ნელ-ნელა წყნარდება. ჭადრის ხე, ქუჩიდან შემოსული მბჟუტავი შუქი, დამის სიწყნარ — ყველაფერი ეს ტრანკვილიზატორი მოქმედებს მის ნევვებზე. მთელი სალამი სიჩქმეში მიიძარება, იდუმალებაში, გამოუთქმელ ფიქრებში, მოლოდინში და დაძაბულობაში. მე და ჩემი და კი პერიოდულად გავცეკრით სანოლ ოთახში მყოფ მმობლებს. იქ დიდად არაფერი იცვლება, მხოლოდ სეზონები აივნის კარში — ხან ზამთარი, ხან გაზაფხული, ხან ზაფხული და ხანაც შემოდგომა...

ასეთი სიუკუმეები ჩვენი ბაგშვილის ყოველ მეორე კვირას მეორდებოდა. 3-4 წლის ბაგშვებისთვის ბუნდოვნად, მაგრამ მაინც ცხადი იყო, რომ განერვიულებული ქალი, რომელიც აივანზე გადიოდა, შესაძლოა, გადამტკარიყო. ხოლო შეშინებული მამა-ჩვენი იმიტომ დასდევდა ქალს და ხან რასა აჩერებდა, ხან — რას, რომ აერიდებინა ცოლის თვითმკვლელობა... საბედნიეროდ, დედაჩვენს გაბრაზება გადადიოდა, გასაბრაზებელი კი, იცოცხლეთ, იყო და არა იყორა — მთელი 90-იანები — სტრესი, სტრესი, სტრესი... სისუსტე, სილაჩრე, სიშმაგე... უსუსური, დაჩიავებული ენები და ყებები, თვალები და სახსრები...

ყველაზე ადრეული ფილმი, რაც კი მას-  
სენდება და რამაც ჩემზე შთაბეჭდილება  
მოახდინა, რაც უნდა გასაკვარი იყოს,  
„ჯეინ ეარი“ იყო... „ჯეინ ეარში“ გაიღია-  
ბული ქალი, რომელიც სხვენში ცხოვრობ-  
და და მოულოდნელად ყვირილით გამო-  
ეცხადებოდა ხოლმე სამყაროს, ბოლოს კი  
ცეცხლით გადატუგავდა ყველაფერს, ძა-  
ლიან ჰყავდა აიგანზე გავარდნილ დედა-  
ჩემს. მე და ჩემს დას უკვე ის აზრიც გაგ-  
ვიჩნდა, რომ შესაძლოა დედაჩენსაც ყვე-  
ლაფერი ცეცხლით დაესრულებინა, ამი-  
ტომ, როცა დედაჩემის „პანიკის შეტევა“  
იწყებოდა და მამაჩემი მის დასაწყნარე-  
ბლად აიგანზე გარბოდა, ჩვენ ასანთის კო-  
ლოფებს და ნავთის ბოთლებს საგულდა-  
გულოდ გადატალავდით ხოლმე...

საბერძნებროდ, გადავრჩით...  
ბავშვობისდროინდელი შიშები 90-იან-  
უბითან ურთად ააძრა. დათაწერმა ას მა-

მაჩვენებელი კი დევნ 10-15 წელი იცხოვრეს ერთად, მანამ, სანამ ბოლომდე არ გამოხტოვს ერთმანეთი, ბოლომდე არ დააძაბუნეს ერთმანეთში ყოველგვარი ქალური და მამაკაცური, ბოლოს კი დაიშალნენ, გაეცალნენ ერთმანეთს როგორც ორი უცნობისე...

მათი დაშორების ბოლო წლები ახალი სტილის პორტორი იყო ჩემთვის და ჩემი დი-სტვის... მათი საბოლოო დაშორება ჩვენს თინერიჯერბის წლებს დაემთხვევა, მე პირველ კურსზე ვიყავავ, ჩემი და კი აბიტურიენტი იყო. ამჯერად მთავარ როლში მამაჩვენი მოგვევონა.

ნარმოლიდგნენთ, უნივერსიტეტის პინგ-ვინი სტუდენტი, შინ რომ ბრუნდება ახალი მთაბეჭდილებებით, აღვზნებებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში გასვლით აღელვებული — საღამოს კი კარს მთვრალი მამა მოადგება და ფეხებს უბრახუნებს, გალიზიანებული და აღრენილი ჩსუბობს, დაშორებას როგორ მიძევდავ, ქალო? ამდენინი წლის მერე ოჯახის დანგრევა ვის გაუგიაო. დედაჩემი სახლიდან უყვირის, „წადი, უკავება, მარა მარა“.

დავშორდით, გამანებე თავი!“ სასაცილო

დედაქარემი პატრულს გამოიძახებდა. პატრული რას იზამდა? საქმის ვითარების გასარკვევად შემოუძლევებოდა მამაჩრემს სახლში. უნდა გენასათ, როგორ ილიმოდა პოლიციის ეპილეტებს მიღმა, თვად შემომიშვითო, ხომ გამიღეთ ისევ კარიო? ვერ მომიშორებთო! მოხვალთ ჩემთან! თან მოვრალი იყო, მაგრამ სათქმელს მაინც ამპირდა... შემდევ კი შუა ოთახში იწყებოდა გარჩევა, ვინ იყო ეს კაცი, რა უნდოდა ამ კაცს, ეს ქალი ვინ იყო და ასე თამაშ-თამაშით პოლიციელებსაც დრო გაყავდათ, ვითომდ დიდ კრიზისალურ ფაქტს იძებდნენ... ოქმის დაწერა, მამაჩრემის ნამთვრალევ ხუმრობებზე აყოლა, დედაქარემის ვითომ დამძმვიდება, მე და ჩემი და კი ვუყურებდით ან საცირკო წარმოდგენას, უფასო თეატრალურ დადგმას ღამის ორ-სამ საათამდე... მეორე დღეს მეწყებოდა ლექციები უნივერსიტეტში, ჩემი და კი მასწავლებლებთან გარბოდა... პატრულის სტუმრობა იმით სრულდებოდა, რომ მთვრალი მამაჩრემი სახლში ესკორტით მიჰყავდათ, ის კი ისევი იქიდან იცინოდა — ჰაპ, ვერ მოიშორებთ მამა გააგდეთ სახლიდან? ქვეყნის სირცე-

ուն յշշը եար... մերը դա մերը Շըմոնօլցէս յաճ-  
ոնցծի դա կուգը սյորոն ցամարդուց ժամ-  
յոլոց ցուրու թյենորուս ցամոց լեռնա, աճամո-  
անցծի քածայա, աճ ցայրտենուլը պա, մաշրամ  
մաժոն յը սյուլ աեալու ամձացո ոյսո, սաժշոտա  
յազմուրու քանցը ըավու մերը նանցը ըավու թից  
ամբուլցը նանցը ըավու, սամոյէալոյէո ոմցամոց-  
լուլ տօնուուս յը սյուլ աեալու նոլու ոյսո,  
նոնցացու — րոմելմաց հիւենս (մի դա հիմու  
ուու) յաճնեց դա ենցը թից ցագուարա... .

მოკლედ, როგორც იქნა, დედაჩემი და  
მამაჩემი დაშორდნენ. ასე გადაება ნიკო-  
ლასის ფობიები — ადრეული ბავშვობის  
მოგონება, სადაც დედა აივნიდან უნდა  
გადახტეს და გარდატების ასაკის მოკლე-  
ნები, სადაც ნასვამბა მამამ კარი უნდა შე-  
მოანგრიოს და მისი სიტყვებით რომ ვთქ-  
ვათ — „ნაჯახით უნდა ამოგხოცოს“...

და, აი, გავიდა ხლები...  
მამაჩემი შეეგუა დაშორებას, მაგრამ  
ახალ ცხოვრებაში აღარაფერი გამოივი-  
და. მას თითქოს ყველა დროებამ უარი უთ-  
ხრა. ახალგაზრდა იყო და ხარკოდა ჯგუ-  
ფებებმა და საძმოებმა უარი ათქმევინეს  
წყნარ ცხოვრებაზე, შემდეგ კი დემოკრა-  
ტიან დაჯანხა, ქალები წამონა, უარი თქვა  
მის შემოქმედებაზე, ერთი სიტყვით, ვერ-  
ცერთმა დროებამ ვერ დააფასა მამაჩემის  
უხარები — და გახდა რიგითი გაჭირვებუ-  
ლი, მარტოხელა კაცი, რომელიც სადღაც  
გარეუბანში ერთოთახიან ბინაში ცხოვრ-  
ობს და მოგონებებით ატარებს ცხოვრებ-  
ას, მოგონებებით, როცა სოფელი დატოვა  
და ამ ქალაქში ჩამოვიდა იმედებით სავსე  
— როგორ დაუმტკრია თბილისმა მას ფრ-  
თები და როგორ წაართვა იცნება...

დედაქემმა აუწყო ფეხი ახალ დროებას,  
მისი სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა  
გაცილებით უკეთ წარიმართა, სამსახურ-  
შიც დაწინაურეს, ხელფასიც მოემატა,  
ინგლისურის და კომპიუტერის კურსებიც  
გაიარა და თითქოს ახლიდან დაიწყო ცხ-  
ოვრება....

ମେ ଦା ରୀମ୍ବି ଡା ଗାଙ୍ଗିଠାରଫ୍ରେଟ ଡା ର୍କ୍ଷାବ୍ୟେ  
ବି ଶ୍ରେଣ୍ଯମ୍ବେନିତ. ଉଚ୍ଚବ୍ରଗ୍ରେବା ଉ୍ପରେ ନାରୀମାର୍ତ୍ତା,  
ମାଗରାମ ଉପନାୟକୀ ଡା ଗାନ୍ଧାରିନାରୀ ଜମ୍ବୁ-  
ମାର୍କେବି ଫାମର୍ହିମଦା... ଏରଟି ଲାମାଶମାନି ଶ୍ରେଣ୍ୟ  
ବିରତେ ଉପଲାଦ ଡା ଶେଫନ୍ଦିନ୍ଦୀରାଫ ଉଚ୍ଚବ୍ରଗ୍ରନ୍ଦ,  
ତୁମ୍ଭମ୍ଭା ରୀମ୍ବି ଶେଫନ୍ଦିନ୍ଦୀର କ୍ରବାଦ ଉଚ୍ଚବ୍ରଗ୍ରେବାସ  
ପାରାଲ୍ଲେଲ୍ଲୁରାଫ ଉଦ୍ଦେଶ୍ୟରା ଲାମାଶମାନି ଗାନ୍ଧାରୀ  
ଫେରେସ. ତେବେ ଅର ଗାଙ୍ଗା, ଜମ୍ବୁମାରୀ ଅର ଫାମର୍ହିମଦା-  
ରୋସ, ତେବେ ଅର ଗାଙ୍ଗା, ଲାମ୍ବ ଅର ଵିଷ୍ୱାରିନ ଡା  
ଲରୀବାଲିତ ଅର ଗାଙ୍ଗାଲ୍ଲେବିନ ରୀମ୍ବି ଶେଫନ୍ଦିନ୍ଦୁ-  
ଲୋ ମେୟ଼ଲ୍ଲେ. ଇସିତ ଗୁରୁଲ୍ଲାକ୍ଷେତ୍ରୀଲୋ ନାମନ୍ବ-  
ତ୍ରୀବା ଡା ରୀମ୍ବି ନୁଙ୍ଗେମ୍ବ ନିନ୍ଦ୍ୟବେ: „ରା ପୁଅ, ରା  
ଫାଗେଶିନ୍ଦରା? ନୁ ଗ୍ରେଶିନ୍ଦା, ସିଠିମାରୀ ପୁଅ.“  
ଅମ ଧରୋ ମେଶମିଲ ମେଥିବାଲ୍ଲେବିଲ ବେଳେବିତୁ:  
„ଗାନ୍ଧାରିକାରାବା“, „ଫଲେଶାତ ପୁଅଗିରା?“ ଉପାନ୍ତି  
ଗାନ୍ଧାରିକାରାବା, ଏରଟବାନ ଆନ୍ତରୀବାଲ୍ଲେବିବାନ,  
ମେର୍ଗ କି ତିତକ୍ଷେ ଶେଗୁହ୍ରବୁଲିନ ମରମଦେଵନ୍ଦା  
ତତ୍ତ୍ଵମଦେ ତିରିଶ ଗୁହ୍ରବୁଦ୍ଧିନ ନ୍ଦ୍ୟାଲ୍ଲେ, ତିତକ୍ଷେବ  
ଶେଗୁହ୍ରା ରୀବେନ କୁର୍ବା ତତ୍ତ୍ଵବେ ଏରଟବେଲ ଲାମିଲ  
ନାମନ୍ବପାରିବାଦ୍ୱୀପୁ...“

სიზმრები ბუუღოვანია, სული მეხუთე-  
ბა, ვიხრჩობისავით — რეალურად, შესა-  
ძლოა, ბალიში, ან საპანი მაქვს მოჭიდებუ-  
ლი გულ-მკერდთან, სიზმარში კი ვეხდავ  
იმას, რაც შეიძლებოდა, მომხდარიყო, რაც  
არ მოხდა წლების წინ და არა და არ დაად-  
გა საშველი. მაშინ ხომ დააბული პატარა  
სულები გათავისუფლდებოდნენ შიშები-  
სგან. მესიზმრება, რომ დედაჩემი აიღნიდან  
ხტება, მისი სხეული საზოლი ოთახიდან  
ქუჩაში ხალათის ფარფატით უშევება და ძი-  
რს უჩინარდება, მერე დატყებების ხმა, მან-  
ქანის სიგნალიზაცია ირთვება, ქვევით  
დედაჩემი გდა, შუბლგახლეჩილი და ენა-  
გადმოგდებული. შეუ ოთახში მე და ჩემი  
და ერთმანეთზე მეკრულები და გაჯითოე-  
ბულები ვართ, შემოსასვლელიდან ხმები  
გვესმის, ახლა იქით ვიყურებით, იქით ვა-  
ყურადებთ სიბრელეში, კიბეზე ვიღაც ამო-  
დის, ჩვენ ერთმნეთს უფრო ვეკვრით და  
პატარა ბავშვური ხელები გვიოფლანდე-  
ბა. ის ვიღაც კარს ფეხებს უბრახუნებს,  
ირონიულად ჩურჩულებს, ემაკური რიხ-  
ით გვიტევს — გეგონათ, ტყუილი იყო ხო-  
ეს ყველაფერი? გეგონათ, მომიშორებდ-  
ით? მამას გააგდებდით სახლიდან? და კა-  
რს ძალით შემოანგრევს. ხელში ნაჯახი უჭ-  
ირავს...

ამ დროს კი მთელი ძალით და ლონით  
ვყვირი — სიზმარი ქრება...  
**P.S.** დღევანდველ საუბრებში ფედა ამ-

ბობს, რომ მას არასდროს მოსვლია აზრად  
აივნიდან გადახტომა, მამა კი ამბობს, რომ  
არ ახსოებს, ნასვამი რას გვეუბნებოდა, ნა-  
ჯახის ხილში არასათროს ჲროა...

## ნიკოლას მაჩაბელი

## ნიკოლასის ფოტი



ის იყო, რომ კარის გაღების შემთხვევაში  
მამაჩრემი მას არაფერს დაუშავებდა, მის-


გან ფიზიკური ძალადობა ქრებოდა. ცხოვრებაში არ მახსოვეს, მამაჩემს ვინმე-სთვის დაერტყას, მაგრამ მას პჰონდა საოცარი, ბეჭლი, ეშმაკეული, დოსტოევსკი-სეული, ხანდახან, შეიძლება ითქვას, დიდე-ბულიც კი, დიდებული ფსიქოლოგიური ზენოლის უნარი. ეს თუ არ გამოგიცდიათ, ისე ვერ მიხვდებით. მისმა ფიზიკურმა აღნაგობამ, გამხდარმა და სუსტმა სხეულმა ის ქნა ამ სოფლიდან წამოსულ კაცში, რომელ ფსიქიკური ძალადობის მძაფრი უნარი განუვითარა. ენით ისეთებს გეტყოდა, სი-

შეიცვალა ლოკაციაც, თუ ადრე ტექსტების დიდ ნაწილში მოქმედდება თბილისის ორ უბანში მიმდინარეობდა და მკითხველიც სამართლიანად დაინტენცირდა ხოლმე ამ ორი უბის პრობლემებზე, ბოლო ათწლეულის თანამედროვე ქართული ლიტერატურა მოშორდა თბილისს და გადაინაცვლა რეგიონებში: თბილისს მოწყდა ცოტნის ცხვედიანი და მოყვარა რა ხდება კაზრეთში, სოხუმში, ჭიათურასა და სხვა ქალაქებში თამთა მელაშვილმა შემოგვთავაზა ამბავი, რომელსაც არ აქვს ადგილი — „გათვლაში“ ვერ შეხვდებით ერთი გეოგრაფიული პუნქტის დასახელებასაც კი; ილია ჭანტურიამ დანერა ზუგდიდზე, თუმცა, ნინ ნამოსხია უნივერსალური პრობლემები — ის, რაც ყველა ქალაქს აწუხებს. მსგავსი ავტორების ჩამონათვალი, საბედნიეროდ დღითიდელ იზრდება და მათი სრულად ჩამოთვლა შორს ნაგვიყვანს....

ასევე, ბოლო დეკადის ქართველი ავტორები არაერთხელ იყენებენ წმინდა წერილს, როგორც შთაგონების წყაროს, მაგალითად: „ფსკერის სახარება“, „სალეჭივი განთიადები უშაქროდ“, „ლმერთი სამსახურშია“, „გამოსვლის წიგნი“... ბიბლიური ელემენტები თანამედროვე ქართულ რომანებში ფრთხილად შემოიდის და ხან მეტაფორულად იკიდებს ფეხს ტექსტებში და ხან კიდევ — ბიბლიური სლენგით. გვხვდება ღმერთი, როგორც დამოუკიდებელი პერსონაჟი და მღვდლები, როგორც XXI საუკუნის ჰაკერები; ბიბლიური წიგნები, როგორც წარსულში მომხდარი მოვლენები მეტაფორა და წმინდა წერილის ენა, როგორც თხრობის კომიკური მანერა.

თაობებს ყოველთვის მოაქვთ მათთვის დამახასიათებელი, უნიკალური ესთეტიკა, და მსოფლმხედველობა, თანამედროვე ქართულმა ლიტერატურამ დაამტკიცა, რომ განსხვავებით მედიისა და პოპულისტი პოლიტიკოსებისა, ისინი ბევრად უფრო აღე კვაცურად სვამენ აქცენტებს, ხელავენ პრობლემებს და მეტად ღია და სწორი რეაქცია აქვთ მათზე. თანამედროვე ქართული ლიტერატურა აღარ არის სტატიკური და ნელ-ნელა ვითარდება, შემოდის ახალი ხები, რომლებიც გავლენას აძლენენ ჯერ მკითხველზე და შემდეგ მომავალ დებიუტანტ ავტორებზეც.

ივა ფეხუაშვილი —  
ფსკერის სახარება (2018)



სიტყვა „სახარება“ ბერძნულად სა-  
სიხარულო ამბის გაგებისთვის ჯილდოს,  
მსხვერპლშენირგას აღნიშნავდა; მარკოზ  
მოციქული თავისი სახარებას ასე იწყება:  
„დასაწყისი სახარებისა იესო ქრისტესი,  
ლვთისა ძისა“ (მარკ. 1,1), აქ სიტყვა „სახ-  
არება“ გადმოსცემს ლვთის განგებულებ-  
ის არსა და საიდუმლოებას. დროთა გან-  
მავლობაში ტერმინის მნიშვნელობა გა-  
ფართოვდა და მივიღეთ „კეთილი ამბავი“.  
ფსკერი კიდევ, სულხან-საბას განმარტე-  
ბით, ნავის შიდა ძირია: „ფსკერი არს ჭურ-  
ჭელთა, კიდობანთა, ნავთა და მისთანათა  
შინაგანი კერძის; ...ფსკერი გადმოითარგმ-  
ნების სიღრმედ; ხოლო იატაკი — ფსკერი  
სახლთა;“ საბა თავის წიგნში „მოგზაურო-  
ბა ევროპაში“ წერს: „მენავემ ჩვენი ხომა-  
ლდი ასე თათრით აავსო. მე ზეთი... ადგ-  
ილი ვერ ვიშოვნე. დაბლა ხომალდის ფსკ-  
ერზე ვიჯექი...“

ანტიკური გმირის მსგავსად შეინიდან წავა  
რათა უკან დაბრუნება კვლავ შეძლოს, ყვე  
ლაფერი ცოლის დისპოზილის ხუმტურებით  
დაინტება:

როცა ფულიანი მშობლების ექვსი წლის  
შეიღო ხარ — შეჩერებული საცურაო აუზები  
სა და ჩოგბურთის კორტებს — სკოლაში  
ნასვლაზე პროტესტები ჩეცულადრივი რა-  
მეა. და თუ ბიძაშენი სწობას, ბაბუამისის  
„ნაოლიმპიადარ-ნამამაძალლარი“ და მა-  
მამისი სადღაც შუაში, ბიძიას ბოლო ზარ-  
ის პერანგზე „შე ყლეო“ წარწერა პროგ-  
ნოზიერებადი მოვლენაა. ასეთი წინაპრები  
ის მქონე, სკოლაში პოპულარულ ბიჭი  
რომელიც ყოველთვის ყველას უყვარდა და  
რომელსაც უკწობმა აკადრა, აქაოდა მა-  
მაკაცის სარცხვინელი ბრძანდებით, გადა-  
წყვეტს კუსტარულად გამოიძიოს მომხ-  
დარი.

ჩვენი მაძიებელი გმირი სათითაოდ მიაკითხავს ეჭვმიტანილებს, მათ შორის — ყოფილ შეყვარებულსაც, რომელთან შეხვედრაც საწოლში ნეტარებითა და ამ ნეტარებაზე მიმანიშნებელი ფოტოს გასასაჯაროებით დასრულდება. ცოტა თუ ბევრ რი ფიქრის (ჩვენში დარჩეს და, უფრო აპუკადრებელი აქტის) შემდეგ იწყება სახლო იდან „მართლა-მართლა“ წასკლა და იმის გაანალიზებაც, რომ ვინც ის წარწერა მიაწერა პილო ზარის პერანგზე, საერთო

დაც არ ყოფილა მტყუანი, უბრალოდ „ყველას ჩვენ-ჩვენი ფსკერი გვაქვს და მთავარია, ამ ფსკერიდან ამოხვიდე და მერე ყველაფერი მარტივია...“

ტიპი ჩაახსაცვლოს ალტრუისტი ბიჭით და  
ამ ჩანაცვლების პარალელურად რომანშტად  
შემოაბიჯებს ახალი პერსონაჟი — ქალა  
ქი. ახალი უზნის აღნერითა და იქ მცხოვრე  
ბი ადამიანების (ემა, რობერტა და კანინ  
კა, რომელთა პროტოტიპები ყველა იტალ-  
იურ ეზოს ჰყავს) გაცნობით და მყითხველ  
ლი ნელ-ნელა იწყებს მოგზაურობას სხვა  
თბილისში, კერძოდ — მის ფსკერში: „ვა  
ფშე სად ვიყავი, სად ვცხოვრობდი და ეხლა  
სად ვარ? როგორ შეიძლება ერთ ქალაქში  
ესეთი სხვადასხვა სამყარო იყოს? რეკლა-

და მაინც, ვინ არიან ეს „ფსკერის გო ალბი“?

თუ ბიჭი ხარ, თან აქ და ახლა ამ წერილს კითხულობ და ბიძაშენმაც შენს წინაპირობაზე დაკისრებული მთავარი ვალი იქ და მაშინ მოიხსადა — 15 (+2) წლისა გაზიარა უცნობი ქალის სხეულს — გეცყოდინება, რომ ფსკერის გოგოები შენი „დამვაჟაცეცხლები“ არიან; ფსკერის გოგოები არიან თბილისის ანდერგრაუნდში მომუშავე სექსა მუშაკები, რომლებიც მხოლოდ სხეულით შიშვლდებიან ხოლმე და ფულით ვერ მო

အနေ ဖို့ဖို့ပြန်လည်

# 2010-იანი ლეგისტრაციული აცალი სამართლი ქართულ პროგრამი

გყიდვიან იმას, რაც მათი სხეულის მიღმა  
იმალება. ავტორმა სხვა რაკურსიდან დაგ-  
ვანახა ამ ადამიანების ცხოვრება, ის, თუ  
რას განიცდიან ქალები, როცა მათთან  
ლამზი შეიღლის ტოლა ბიჭები მიღდან...

ნავლია მისი „სული“, მოგრაფია, ვითაოცა  
კოლექტიური არსებისა. ეს კი გავიიღოდ-  
ბს ზოგადად ქვეყნის, ერთს ხასიათის შეკ-  
ნობას“. როგორც ერთხელ უკვე აღვნიშ-  
ნეთ, „ფსკერის სახარებაში“ თბილისი ცა-  
ლკე პერსონაჟია, მოქმედი პირი და ფსკე-  
ერი ქალაქია ქალაქში, რომლის ყველაზე  
დაფარულ ჯურლმულებშიც კი რაღაც და-  
ვიღაც იძალება და ეს რაღაცები და ვიღა-  
ცები არაფერს ისე ზუსტად არ აღწერენ,  
როგორც მთლიანად ერთს სახეს:

„თბილისი ქალაქია აღმართების და აღ-  
მართის ბოლოს ასულების ხელის კვრის,  
რომ თბილისი ქალაქია გრძნობების პირა-  
ტების, ფიქრებს რომ გპარავს ის ქალაქია  
თბილისი. ქალაქია თბილისი იმ ხალხის,  
რომელმაც საკუთარი ცხოვრება არა და-  
არ იცის, მაგრამ იცის შენი და იცის თბილ-  
ისის. თბილისი ქალაქია, რომელსაც ყვე-  
ლა შენი ნაბიჯი, ყველა შენი სუნთქვა აინ-  
ტერესებს იმიტომ, რომ შეეცი და თავისი  
არ აქვს...“

საკუკუნების წინ საქართველოს მოადგა რუქინ ად-დინი, იყო ბასილის ბრძოლადა მართალია, „ფსევრის სახარებაში“ არა არის ბასიანი ასეთი დიადი (საერთოდაც) ირიბადა „ბასიანის“ დარბევის ამბავი მოთხოვნილი (როგორც თამარის დროს, აქაურ ისტორიასაც ყავს თავისი მურდალიკაცია:

„დედაქალაქის ბოვიდა დესპანი  
გამოჩენილი,  
ნუქარდინს გამოეგზავნა  
თამარისათვის წერილი.


ენისგან უთქმელს,  
უკადრისს ინტერბოდა მურდალი...”  
ლადო ასათიანი, „ბასიანის ბრძოლა“.  
და თუ „ფსკერის სახარების“ ერთ-ერთი  
პერსონაჟის, ასლანის ერთი სიტყვით დახ-  
ასიათება გახდება საჭირო, მურდალი (მუ-  
რდალი კაცი — ღრძუ კაცი) — (სიტყვის  
კონა) საუკეთესო ვარიანტია. ასლანი კან-  
ინგას ბიძაშვილი, თანამდებობით „ვაკე-  
საბურთალოს რაიონის ნარკოტიკების შე-  
ძენა-შენახვა-მოხმარება-რეალიზაციას-  
თან ბრძოლის დეპარტამენტის დირექტო-  
რის მეორე მოადგილეა“. ასლანი, ვითარ-  
ცა მურდალი კაცი, კანინგას შანტაჟით თა-  
